

ავთდორ.ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
--------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები.....	21
4. საწარმოთა გაერთიანება საანგარიშგებო წლის განმავლობაში	22
5. შემოსავალი	22
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	23
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
8. ფინანსური ხარჯი	23
9. მოგების გადასახადის სარგებელი	24
10. ძირითადი საშუალებები	24
11. არამატერიალური აქტივები	25
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	27
14. სხვა რეზერვები	27
15. სხვა ვალდებულებები	27
16. სესხები	27
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28
18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	28
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	32
20. პირობითი ვალდებულებები	33
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს აუთდორ.ჯის ხელმძღვანელობას

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აუთდორ.ჯი“ (შემდეგში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდეგში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისაგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „აუთდორ.ჯი“ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის კონსოლიდირებულ მოძრაობას და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, კონსოლიდირებული ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

19 ივლისი, 2018

- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი ივანე ჟუჟუნაშვილი



შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
19 ივლისი, 2018

აუთდორ.ჯი ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	5	11,966,380	11,110,587
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(5,528,654)	(5,622,081)
საერთო მოგება		6,437,726	5,488,506
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, წმინდა		(2,725,158)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,319,828)	(2,675,489)
რეკლამის ხარჯები		(309,445)	(295,462)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(77,682)	(106,063)
საოპერაციო მოგება		1,005,613	2,411,492
ფინანსური შემოსავალი		13,592	17,521
ფინანსური ხარჯი	8	(2,423,140)	(2,153,117)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		(74,381)	(1,023,441)
შვილობილებისგან მიღებული დივიდენდები		13,696	15,000
ზარალი დაბეგვრამდე		(1,464,620)	(732,545)
მოგების გადასახადის სარგებელი	9	-	926,650
წმინდა (ზარალი)/მოგება		(1,464,620)	194,105
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული (ზარალი)/მოგება		(1,464,620)	194,105

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 19 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ზურაბ პერტაია

მთავარი ბუღალტერი _____ ლელა ბერუაშვილი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

აუთდორჯი ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	5	11,966,380	11,110,587
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(5,528,654)	(5,622,081)
საერთო მოგება		6,437,726	5,488,506
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, წმინდა		(2,725,158)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,319,828)	(2,675,489)
რეკლამის ხარჯები		(309,445)	(295,462)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(77,682)	(106,063)
საოპერაციო მოგება		1,005,613	2,411,492
ფინანსური შემოსავალი		13,592	17,521
ფინანსური ხარჯი	8	(2,423,140)	(2,153,117)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		(74,381)	(1,023,441)
შვილობილებისგან მიღებული დივიდენდები		13,696	15,000
ზარალი დაბეგვრამდე		(1,464,620)	(732,545)
მოგების გადასახადის სარგებელი	9	-	926,650
წმინდა (ზარალი)/მოგება		(1,464,620)	194,105
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული (ზარალი)/მოგება		(1,464,620)	194,105


2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 19 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ზურაბ პერტაია

მთავარი ბუღალტერი



ლელა ბერუაშვილი

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

აუთდორ.ჯი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	7,111,886	10,292,363
არამატერიალური აქტივები	11	3,556,323	1,632,037
გუდვილი	4	479,268	-
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		-	20,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,147,477	11,944,400
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		883	192,752
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	3,524,008	1,891,139
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	461,783	96,418
სულ მიმდინარე აქტივები		3,986,674	2,180,309
სულ აქტივები		15,134,151	14,124,709
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
სხვა რეზერვები	14	3,073,255	5,127,147
დაგროვილი ზარალი		(7,150,416)	(4,897,268)
კომპანიის მეწილეებს მიკუთვნებული კაპიტალი		(4,077,061)	229,979
არამაკონტროლებელი წილი		53,417	357,315
სულ კაპიტალი		(4,023,644)	587,294
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	15	1,149,662	1,650,562
სესხები	16	10,634,684	10,163,873
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,784,346	11,814,435
მიმდინარე ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	15	789,281	549,752
საგადასახადო ვალდებულებები		140,117	184,815
სესხები	16	3,496,734	448,610
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	2,947,317	539,803
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,373,449	1,722,980
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		15,134,151	14,124,709

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

აუთდორ.ჯი ჯგუფი

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სხვა რეზერვები	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ
2015 წლის 31 დეკემბერი	100	(4,835,945)	5,127,147	253,772	545,074
კონტროლის არმქონე საწარმოზე გადახდილი დივიდენდი				(151,885)	(151,885)
პერიოდის სრული (ზარალი)/შემოსავალი	-	(61,323)	-	255,428	194,105
2016 წლის 31 დეკემბერი	100	(4,897,268)	5,127,147	357,315	587,294
კონტროლის არმქონე საწარმოზე გადახდილი დივიდენდი	-	-	-	(150,313)	(150,313)
სხვა რეზერვების შემცირება	-	-	(2,053,892)	-	(2,053,892)
ცვლილება კონტროლის არმქონეთა წილებში	-	(693,400)	-	(248,713)	(942,113)
პერიოდის სრული (ზარალი)/შემოსავალი	-	(1,559,748)	-	95,128	(1,464,620)
2017 წლის 31 დეკემბერი	100	(7,150,416)	3,073,255	53,417	(4,023,644)

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

აუთდორ.ჯი ჯგუფი

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(1,464,620)	(732,545)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10,11	1,074,899	1,039,880
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	7	413,495	198,283
ფინანსური შემოსავალი		(13,592)	(17,521)
ფინანსური ხარჯი	8	2,423,140	2,153,117
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან		2,725,158	-
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		74,381	1,023,441
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში		5,232,861	3,664,655
ცვლილებამდე			
სამუშაო კაპიტალის ცვლილება			
მარაგების შემცირება		191,869	14,615
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(3,379,961)	243,021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		4,379,212	274,776
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		(32,686)	(964,850)
სხვა ვალდებულებების შემცირება		(794,581)	(253,468)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		5,596,714	2,978,749
გადახდილი პროცენტები		(1,892,037)	(2,152,705)
გადახდილი მოგების გადასახადი		(12,016)	(47,667)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,692,661	778,377
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(584,437)	(513,135)
შვილობილი საწარმოს შესაძენად გადახდილი წმინდა ფულადი სახსრები		(2,003,589)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		481,052	15,322
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,440,481)	-
გაცემული სესხები		-	(106,914)
მიღებული პროცენტები		13,592	17,521
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(4,533,863)	(587,206)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების მიღება		5,025,400	-
სესხის დაფარვა		(3,667,605)	(11,997)
არამაკონტროლებელი წილისთვის გადახდილი დივიდენდი		(150,313)	(151,885)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		1,207,482	(163,882)
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა		366,280	27,289
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	96,418	91,221
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე		(915)	(22,092)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	461,783	96,418

9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აუთდორ.ჯი (შემდგომში კომპანია) 2008 წლის ივნისიდან წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს გარე რეკლამირება. კომპანია ფლობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისგან მიღებულ გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიურ უფლებას თბილისში, კერძოდ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქ. N 17.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 70%-იანი მფლობელი იყო სს Adprojects Inc ედპროჯექტი, რომელიც რეგისტრირებულია და საქმიანობას ახორციელებს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიის 20%-იანი წილის მფლობელია შპს „სამკუთხედი“, ხოლო 10%-იანი წილის - შპს „ჯეო ტეკი“, ორივე კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიის საბოლოო კონტროლის განმახორციელებელი პირია გიორგი ბერაძე (100%).

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

	საქმიანობის ქვეყანა	წილის ფლობა		საოპერაციო საქმიანობა
		31.12.2017	31.12.2016	
შპს აუთდორ მონიტორსი	საქართველო	შეირწყა	100%	სარეკლამო მომსახურება
შპს ბი ენ ეფი	საქართველო	შეირწყა	50%	სარეკლამო მომსახურება
შპს ესარპი	საქართველო	შეირწყა	50%	სარეკლამო მომსახურება
შპს როტინომი	საქართველო	50%	50%	სარეკლამო მომსახურება
შპს აუთდორ მონიტორსი +	საქართველო	50%	50%	სარეკლამო მომსახურება
შპს აუთდორ ტრანსპორტი	საქართველო	100%	100%	სარეკლამო მომსახურება
შპს აუთდორ პრინტ მედია	საქართველო	100%	75%	სარეკლამო მომსახურება
შპს აუთდორ დიჯიტალი	საქართველო	70%	70%	სარეკლამო მომსახურება
შპს აჭარის სარეკლამო კომპანია	საქართველო	შეირწყა	55%	სარეკლამო მომსახურება
შპს Ska-group	საქართველო	54%	54%	სარეკლამო მომსახურება
შპს ინდორ.ჯი	საქართველო	50%	50%	სარეკლამო მომსახურება

შპს აუთდორ.ჯის შვილობილი კომპანიების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა სარეკლამო პროდუქციის და სერვისების მიწოდება ინდივიდუალური და კორპორატიული კლიენტებისთვის.

შპს აუთდორ.ჯიმ 2017 წელს შეიძინა შპს ჯეო ედსის 100%-იანი წილი და ამავე წელს შეირწყა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები,

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

2.2 ახალი ფას-ების მიღება

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან, არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვრისთვის:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მოუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფას 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

2014 წლის მაისში გამოიცა ფას 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფას 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს.

ფას 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება.

ხუთეტაპიანი მოდელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფას 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

“კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. ჯგუფი აფასებს მომავალში ფასს 15-ის გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნებია:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა, საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლებით”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები, ასევე, ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- **გაუფასურება.** ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან. სტანდარტის სავალდებულო გამოყენება ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშის მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს. ჯგუფი აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფი აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი. IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს.

იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან.

ჯგუფი აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.3 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

• ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

2.4 საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა შეძენას ჯგუფი აღრიცხავს შეძენის მეთოდის საფუძველზე. საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული კომპენსაციას ჯგუფი აფასებს რეალური ღირებულებით, რომელიც გამოითვლება როგორც შეძენის თარიღით შეფასებული შემდეგი რეალური ღირებულებების ჯამი: მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, შეძენილი საწარმოს ყოფილი მესაკუთრეების მიმართ მყიდველი საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული სააქციო წილის. საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდში როდესაც გაწეული იყო ეს დანახარჯები.

შეძენის თარიღისათვის ჯგუფი აფასებს შემწეულ იდენტიფიცირებად აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით, გარდა შემდეგისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ასევე, დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოებიდან წარმოქმნილი ვალდებულება და აქტივები აღირდება და ფასდება ბასს 12-ისა და ბასს 19-ის შესაბამისად;
- ვალდებულება ან წილობრივი ინსტრუმენტი, რომელიც დაკავშირებულია შეძენილი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოების გაცვლასთან მყიდველი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოებზე, აღირიცხება ფასს 2 „წილობრივი გადახდა“-ს მიხედვით; და
- აქტივები, რომელიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული, აღირიცხება ფასს 5 „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს შესაბამისად.

გუდვილი ფასდება როგორც სხვაობა შემდეგი მაჩვენებლებისა: გადაცემული კომპენსაცია, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში, შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებული რეალური ღირებულება, და შეძენილ იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შეძენის თარიღისათვის წმინდა ღირებულებას შორის. თუ, შეფასების შემდგომ, შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება აღემატება გადაცემულ კომპენსაციას, ნებისმიერი არამაკონტროლებელ წილს შეძენილ საწარმოში და შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებულ რეალური ღირებულებას, მაშინ ნამეტი უნდა აღიარდეს მაშინვე მოგებასა და ზარალში როგორც შეძენიდან მიღებული მოგება.

2.5 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

(ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენლია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან“ წმინდა სიდიდით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940

2.6 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

2.6.1 პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

2.6.2 მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.7 მიღებული დივიდენდი

დივიდენდები მოგებაში ან ზარალში მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარდება, როდესაც: ა) დადგინდება საწარმოს უფლება გადახდილი დივიდენდების მიღებაზე; ბ) მოსალოდნელია დივიდენდებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა; და გ) დივიდენდის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. ჯგუფი ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

2.9 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-10 განმარტებით შენიშვნაში).

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.10 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

2.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზებადი ღირებულებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.12 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. პერიოდის ცვეთის ხარჯი განაწილებულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ბილბორდები და სარეკლამო კონსტრუქციები	10-20
შენობა-ნაგებობები	40
მანქანა-დანადგარები, სატრასპორტო საშუალებები და სხვა აღჭურვილობა	10
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	7
სხვა	30

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

2.13 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ლიცენზიები	12
სხვა არამატერიალური აქტივები	5-10

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.14 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ჯგუფი საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს.

საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვას ჯგუფი იწყებს მას შემდეგ, რაც აღნიშნული ქონება მზად არის იმ მიზნით გამოსაყენებლად, როგორც ეს თავდაპირველად ჰქონდა მენეჯმენტს განსაზღვრული. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. პერიოდის ცვეთის ხარჯი განაწილებულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 40 წლით.

2.15 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.16 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შემენის დანახარჯები მოიცავს მათი შემენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა,

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

2.17 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

2.18 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება - ბასს 39-ის ფარგლებში ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც დაფარვამდე შენახული ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის, სესხების და მოთხოვნების გათვალისწინებით, ან როგორც გასაყიდად ვარგისი ფინანსური აქტივები. ჯგუფი ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

(ა) რეალური ღირებულება მოგებას ან ზარალში ასახვით

ეს კატეგორია შედგება მხოლოდ ფულით წარმოებულებისგან. მათი მაჩვენებლები აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის ნაწილში. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა, რომლებიც არ ითვლება ჰეჯირების ინსტრუმენტებად, ჯგუფი არ ფლობს სხვა აქტივებს ვაჭრობისთვის და არც

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საკუთარი ინიციატივით ახდენს აქტივების კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგებასა ან ზარალში ასახვით.

(ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრადი გადახდებით და ფიქსირებული დაფარვის ვადით კლასიფიცირდება, როგორც ფლობილი დაფარვამდე, როდესაც ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს და შეუძლია მათი განკარგვა დაფარვამდე. ჯგუფი არ ფლობს დაფარვამდე ფლობილად კლასიფიცირებულ აქტივებს.

(გ) სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფულისა და ფულის ეკვივალენტების სახით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

(დ) გასაყიდად გამიზნული

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული და ძირითადად მოიცავს ჯგუფის სტრატეგიულ ინვესტიციებს საწარმოებში, რომლებიც არ კვალიფიცირდება როგორც ფილიალები, ასოცირებული ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები, ასევე კორპორატიულ ობლიგაციებს. ისინი აისახება რეალური ღირებულებით, რომლის ცვლილებაც აღიარდება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და აკუმულირდება გასაყიდად განკუთვნილ რეზერვში; გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი კლების შემთხვევაში (რაც წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას), გაუფასურების სრული ოდენობა, წინათ სრულ შემოსავალში აღიარებული თანხების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივების შეძენა და რეალიზაცია აღიარდება ოპერაციის ანაზღაურების დღეს ტრანზაქციის მოხდენის დღესა და თანხის უშუალო გადახდის დღეს შორის აქტივის რეალური ღირებულების ცვლილების აღიარებით გასაყიდად გამიზნულ რეზერვებში.

რეალიზაციისას, აკუმულირებული მოგება ან ზარალი, აღიარებული სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რეკლასიფიცირდება გასაყიდად განკუთვნილი რეზერვიდან მოგება-ზარალში.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდამთმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) ჯგუფი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის რეალური ღირებულების ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

2.19 საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

აუთდორ.ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

მოთხოვნების გაუფასურება.

ჯგუფი აფასებს სავაჭრო მოთხოვნებს გაუფასურებაზე. მთავარი ფაქტორი, რომლის საფუძველზეც ჯგუფი ადგენს ფინანსური აქტივის გაუფასურებას, არის ვადაგადაცილება და დებიტორების საკრედიტო რეიტინგის გაუარესება.

გაუფასურების ოდენობა გამოითვლება რისკის მატარებელი აქტივების ანალიზით და ასახავს თანხის იმ მოცულობას, რაც მენეჯმენტის აზრით საკმარისია შესაბამისი დანაკარგების დასაფარად. ჯგუფი ანარიცხებს ქმნის რისკის მატარებელი აქტივების შეფასების საფუძველზე. იმის მიხედვით, არსებითია თუ არა, აღნიშნული ფინანსური აქტივები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

4. საწარმოთა გაერთიანება საანგარიშგებო წლის განმავლობაში

2017 წლის 23 ივნისს შპს აუთდორ.ჯიმ შეიძინა შპს ჯეო ედსის 100%-იანი წილი. აღნიშნული კომპანიის შემენისთვის შპს აუთდორ.ჯიმ გადაიხადა 3,150,000 ლარი. შპს ჯეო ედსი ახორციელებდა სარეკლამო საქმიანობას.

შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივების და გადახდილი ანაზღაურების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემენილი აქტივების რეალური ღირებულება:	2017
ძირითადი საშუალებები	63,936
ინვესტიციები	3,000
არამატერიალური აქტივები	2,437,241
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,741
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	195,573
სულ აქტივები	2,711,490
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	40,758
სულ ვალდებულებები	40,758
წმინდა აქტივები	2,670,732
საწარმოს შესაძენად გადახდილი თანხა	3,150,000
საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი გუდვილი	479,268

2017 წლის ივლისში ჯგუფმა შეირჩა შპს ჯეო ედსი.

შემენილი აქტივების რეალური ღირებულება:

შემენილი ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის შპს ბეიკერ ტილი ჯორჯიას მიერ. საწარმოთა გაერთიანების შედეგად შესყიდული აქტივების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მე-3 დონის საფუძველზე. შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება დანახარჯების მეთოდს სარეკლამო კონსტრუქციების შემთხვევაში და შემოსავლების მეთოდს არამატერიალური აქტივების შემთხვევაში. ზემოთმოცემული აქტივების რეალური ღირებულების შეფასება ეფუძნება აქტივების საუკეთესო გამოყენებას, რომელიც არ განსხვავდება მათი მიმდინარე გამოყენებისგან.

5. შემოსავალი

შემოსავლები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
შემოსავალი სარეკლამო საქმიანობიდან	10,371,447	9,035,658
შემოსავალი ბანერების გაყიდვიდან	1,123,949	1,544,035
სხვა	470,984	530,894
სულ	11,966,380	11,110,587

აუთდორჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
იჯარის ხარჯი	(1,661,514)	(2,042,939)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,028,543)	(921,102)
მონტაჟის ხარჯი	(752,343)	(24,333)
ბანერების ხარჯი	(886,481)	(638,339)
კომუნალური ხარჯი	(415,989)	(427,581)
შრომის ანაზღაურება	(193,247)	(745,300)
სარეკლამო კონსტრუქციების მიმდინარე შეკეთების ხარჯი	(52,912)	(245,188)
საწვავის ხარჯი	(28,559)	(104,815)
სხვა	(509,066)	(472,484)
სულ	(5,528,654)	(5,622,081)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
შრომის ანაზღაურება	(1,030,586)	(1,589,619)
საექვო მოთხოვნების გაუფასურება	(413,495)	(198,283)
საკონსულტაციო მომსახურებები	(246,302)	(201,613)
ჯარიმა	(214,469)	-
საგადასახადო ხარჯი	(88,024)	(101,658)
ცვეთა და ამორტიზაცია	(46,356)	(118,778)
კომუნიკაციის ხარჯი	(20,823)	(37,772)
იჯარა	(17,181)	(64,052)
კომუნალური ხარჯი	(15,317)	(27,858)
ქველმოქმედება	(10,588)	(36,058)
მოვლა-შენახვის ხარჯი	(3,085)	(9,044)
მივლინება	(2,944)	(54,915)
სხვა	(210,658)	(235,839)
სულ	(2,319,828)	(2,675,489)

8. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
სესხებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(1,889,830)	(1,817,942)
ლიცენზიებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(483,399)	(335,175)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(49,911)	-
სულ	(2,423,140)	(2,153,117)

9. მოგების გადასახადის სარგებელი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს მიღებული მოგების რეინვესტირებას არსებულ ან ახალ საქმიანობაში. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. ტექნიკურად დასაბეგრი ობიექტის დაბეგვრა მოხდება 15%/85% განაკვეთით მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ბილბორდები და სარეკლამო კონსტრუქციები	შენობები	მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა აღჭურვილობა	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
31.12.2015	11,430,691	585,150	246,011	397,099	112,843	12,771,794
შემოსვლა	673,604	273,997	12,000	6,621	-	966,222
გასვლა	(9,391)	-	(5,884)	(4,088)	-	(19,363)
31.12.2016	12,094,904	859,147	252,127	399,632	112,843	13,718,653
შემოსვლა	578,698	-	-	5,489	250	584,437
გასვლა	(3,876,533)	-	(252,127)	(269,886)	(35,067)	(4,433,613)
31.12.2017	8,797,069	859,147	-	135,235	78,026	9,869,477
დაგროვილი ცვეთა						
31.12.2015	(2,339,637)	(14,749)	(142,858)	(244,011)	(37,864)	(2,779,119)
პერიოდის ცვეთა	(571,460)	(16,449)	(24,854)	(32,189)	(6,260)	(651,212)
გასვლა	707	-	2,816	518	-	4,041
31.12.2016	(2,910,390)	(31,198)	(164,896)	(275,682)	(44,124)	(3,426,290)
პერიოდის ცვეთა	(518,582)	(21,479)	(6,598)	(8,466)	(3,579)	(558,704)
გასვლა	849,637	-	171,494	179,356	26,916	1,227,403
31.12.2017	(2,579,335)	(52,677)	-	(104,792)	(20,787)	(2,757,591)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31.12.2016	9,184,514	827,949	87,231	123,950	68,719	10,292,363
31.12.2017	6,217,734	806,470	-	30,443	57,239	7,111,886

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოდგენდა ჯგუფის მიერ აღებული საბანკო იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 16).

აუთდორჯი ჯგუფი**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	რეკლამის უფლება	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31.12.2015	4,527,559	71,699	4,599,258
შემოსვლა	-	-	-
31.12.2016	4,527,559	71,699	4,599,258
შემოსვლა	2,440,481*	-	2,440,481
31.12.2017	6,968,040	71,699	7,039,739
ამორტიზაცია			
31.12.2015	(2,547,156)	(31,397)	(2,578,553)
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	(377,471)	(11,197)	(388,668)
31.12.2016	(2,924,627)	(42,594)	(2,967,221)
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	(505,009)	(11,186)	(516,195)
31.12.2017	(3,429,636)	(53,780)	(3,483,416)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31.12.2016	1,602,932	29,105	1,632,037
31.12.2017	3,538,404	17,919	3,556,323

*2017 წელს არამატერიალური აქტივის შემოსვლა წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების შედეგად აღიარებულ რეკლამის უფლებას. შეძენილი არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულება განსაზღვრულია დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის შპს ბეიკერ ტილი ჯორჯიას მიერ და შეადგენს 2,437,241 ლარს.

აუთდორ.ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,804,763	1,532,126
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	1,172,273	502,092
მისაღები დივიდენდები	78,652	49,767
სულ ფინანსური მოთხოვნები	4,055,688	2,083,985
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(641,794)	(228,299)
სულ ფინანსური მოთხოვნები	3,413,894	1,855,686
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	110,114	35,453
სულ	3,524,008	1,891,139

სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
მიმდინარე, რომელიც არ არის გაუფასურებული	1,207,442	801,566
ვადაგადაცილებული, რომელიც არ არის გაუფასურებული:	2,018,684	968,252
90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	1,107,652	498,058
90-180 დღის ვადაგადაცილება	453,270	251,777
180-365 დღის ვადაგადაცილება	212,342	169,824
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	245,420	48,593
ვადაგადაცილებული, რომელიც გაუფასურებულია:	750,910	264,400
90-180 დღის ვადაგადაცილება	47,745	37,422
180-365 დღის ვადაგადაცილება	346,854	12,327
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	356,311	214,651
სულ	3,977,036	2,034,218

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ბალანსი წლის დასაწყისში	(228,299)	(286,100)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(413,495)	(70,884)
ჩამოწერა	-	127,912
წინა პერიოდში შექმნილი ანარიცხის აღდგენა	-	773
ბალანსი წლის ბოლოს	(641,794)	(228,299)
ინდივიდუალური გაუფასურება	-	-
ჯგუფური გაუფასურება	(641,794)	(228,299)
სულ	(641,794)	(228,299)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება დაფარვის მოკლე ვადის გამო არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან. სავაჭრო მოთხოვნების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-18-ე შენიშვნაში.

ავტოდორ.ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	461,771	96,342
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12	76
სულ	461,783	96,418

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-18-ე შენიშვნაში.

14. სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები მოიცავს სხვაობის თანხას დამფუძნებლის (სს Adprojects Inc) მიღებული სესხის საბალანსო და გადასახადების გათვალისწინებით დათვლილ რეალურ ღირებულებას შორის, დამატებით იხილეთ მე-16-ე შენიშვნა.

15. სხვა ვალდებულებები

ჯგუფი ფლობს თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიურ უფლებას. აღნიშნული უფლება შეიძინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისგან. ხელშეკრულების მიხედვით, ჯგუფი მერიას უხდის ცვალებად გადასახდელებს, რაც დამოკიდებულია სარეკლამო აქტივობებიდან მიღებულ შემოსავალზე.

ვალდებულების რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას (ექსკლუზიური უფლების მიღებისას) განისაზღვრა ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ფულადი ნაკადების პროგნოზების და ხელმძღვანელობის დაშვებით განსაზღვრული რეკლამის განთავსების უფლების სასარგებლოს მომსახურების ვადის გათვალისწინებით. დაშვებები, რაც გამოყენებულია რეალური ღირებულების დათვლისას, იყო ფულადი ნაკადების ზრდის ტემპი (2%) და დიკონტირების განაკვეთი (18%).

ვალდებულებების შემდგომი აღიარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით და მათი საბალანსო ღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 1,938,943 ლარს და 2,200,314 ლარს.

16. სესხები

სესხები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კონტრაგენტი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2017	31.12.2016
ED Project Inc.*	31/Dec/20	აშშ დოლარი	18%	9,071,488	10,612,483
სს საქართველოს ბანკი**	28/Mar/25	აშშ დოლარი	8.6% + Libor	5,057,574	-
სხვა	26/Apr/19	ლარი	12%	2,356	-
სულ				14,131,418	10,612,483

*2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა დამფუძნებელ სს Adprojects Inc-სგან 13,467,728 ლარის ოდენობის მიღებული სესხი. აღნიშნული სესხის სფეციფიკური პირობების გათვალისწინებით (რაც განსხვავდება საბაზრო პირობებისგან), ჯგუფმა სხვაობა რეალურ და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარა, როგორც დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში. 2017 წლის მაისში შეიცვალა აღნიშნული სესხის გადახდის თარიღი და ჯგუფმა სესხის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარა. შედეგად ჯგუფმა აღიარა „სხვა რეზერვების“ შემცირება და შესაბამისი ეფექტი გაითვალისწინა კაპიტალში.

**სს საქართველოს ბანკის სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით (შენიშვნა 10). სესხების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-18-ე შენიშვნაში.

აუთდორჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	411,199	293,467
სხვა ვალდებულებები	67,314	215,706
შვილობილის შეძენით წარმოქმნილი ვალდებულებები:		
შპს ჯეო ედსი	1,725,000	-
შპს ბი ენ ეფი	25,000	-
არაფინანსური ვალდებულებები:		
მიღებული ავანსები	718,804	30,630
სულ	2,947,317	539,803

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება დაფარვის მოკლე ვადის გამო არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან. სავაჭრო ვალდებულებები განაწილება ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-18-ე შენიშვნაში.

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც შესაძლებელია წარმოიშვას რისკები არის შემდეგი:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- სესხები
- სხვა ვალდებულებები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,413,894	1,855,686
ფული და ფულის ეკვივალენტები	461,783	96,418
სულ ფინანსური აქტივები	3,875,677	1,952,104
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,228,513	539,803
სესხები	14,131,418	10,612,483
სხვა ვალდებულებები	1,938,943	2,200,314
სულ ფინანსური ვალდებულებები	18,298,874	13,352,600

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფს არ გააჩნია რისკის მართვის წერილობითი პოლიტიკა. თუმცა, უმაღლესი მენეჯმენტი ახორციელებს რისკების კონტროლს და მიზნად ისახავს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც შეამცირებს ჯგუფის რისკებს და დაიცავს ჯგუფის კონკურენტუნარიანობას და მოქნილობას რისკების უარყოფითი ეფექტისგან. უფრო დეტალური ინფორმაცია ჯგუფის რისკების მართვის მიდგომის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ჯგუფის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ჯგუფის საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც ჯგუფი ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორებისთვის ჯგუფი ქმნის სპეციფიკურ რეზერვს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი ნაკადების მოძრაობა.

აუთდორ.ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	31.12.2017
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	461,771	12	461,783
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,413,894	-	3,413,894
სულ ფინანსური აქტივები	3,875,665	12	3,875,677
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,228,513	-	2,228,513
სხვა ვალდებულებები	1,938,943	-	1,938,943
სესხები	2,356	14,129,062	14,131,418
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,169,812	14,129,062	18,298,874
ღია სავალუტო პოზიცია	(294,147)	(14,129,050)	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	31.12.2016
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	96,342	76	96,418
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,855,686	-	1,855,686
სულ ფინანსური აქტივები	1,952,028	76	1,952,104
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	509,173	-	509,173
სხვა ვალდებულებები	2,200,314	-	2,200,314
სესხები	-	10,612,483	10,612,483
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,709,487	10,612,483	13,321,970
ღია სავალუტო პოზიცია	(757,459)	(10,612,407)	

მგრძნობელობა სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:	ლარი/აშშ დოლარი + 20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%
მოგება/(ზარალი)	(2,825,810)	2,825,810
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	ლარი/აშშ დოლარი + 20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%
მოგება/(ზარალი)	(2,122,481)	2,122,481

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

აუთდორ.ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

წმინდა ლიკვიდურობის ანალიზი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2017
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	461,783	-	-	461,783
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,413,894	-	-	3,413,894
სულ ფინანსური აქტივები	3,875,677	-	-	3,875,677
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,228,513	-	-	2,228,513
სხვა ვალდებულებები	789,281	1,149,662	-	1,938,943
სესხები	3,496,734	10,634,684	-	14,131,418
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,514,528	11,784,346	-	18,298,874
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2016
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	96,418	-	-	96,418
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,855,686	-	-	1,855,686
სულ ფინანსური აქტივები	1,952,104	-	-	1,952,104
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	509,173	-	-	509,173
სხვა ვალდებულებები	549,752	1,650,562	-	2,200,314
სესხები	448,610	10,163,873	-	10,612,483
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,507,535	11,814,435	-	13,321,970

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმაცია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

აუთდორჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		31.12.2017		31.12.2016	
ურთიერთობა		ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,836	2,947,317	24,789	539,803
შპს ინმედია	მეკავშირე საწარმო	2,836			
შპს ალმა	სხვა	-		24,789	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		11,355,419	3,524,008	94,742	1,891,139
შპს აუთდორ მედია ჰაუსი	მეკავშირე საწარმო	60,000		80,287	
სს დი ენდ ბი საქართველო	სხვა	-		3,690	
შპს ინმედია	მეკავშირე საწარმო	363			
შპს ალმა	სხვა	1,176,068		3,773	
სს ვენჯორჯია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საერთო კონტროლს	-		3,152	
შპს ვისოლ ავტო ექსპრესი	დაქვემდებარებული	3,840		3,840	
სესხები		5,057,574	14,131,418	-	10,612,483
AD Project Inc.	დამფუძნებელი	5,057,574		-	
შემოსავალი		1,386,705	11,966,380	1,271,367	11,110,587
შპს ალმა	სხვა	1,336,938		286,168	
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	48,814		-	
კონსტანტინე ჭავჭავაძე	სხვა	953		-	
შპს აუთდორ მედია ჰაუსი	მეკავშირე საწარმო	-		975,981	
სს დი ენდ ბი საქართველო	სხვა	-		5,042	
შპს ინმედია	მეკავშირე საწარმო	-		4,176	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,273,109)	(5,528,654)	(87,915)	(5,622,081)
შპს ალმა	სხვა	(1,268,303)		(87,915)	
შპს ინმედია	მეკავშირე საწარმო	(4,806)			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(548)	(2,319,828)	-	(2,675,489)
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	(548)		-	

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:	37,686	207,938
მოკლევადიანი გასამრჯელო	37,686	207,938

20. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

აუთდორ.ჯი ჯგუფი

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2017 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

აუთდორ.ჯი ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 19 ივლისს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიზნებისა და გეგმების შესახებ მმართველობითი ანგარიშგებაში არაა ინფორმაცია წარმოდგენილი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- “პირობითი მოსაზრების საფუძველში” აღწერილი საკითხის გავლენის გარდა, მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას .

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

28 სექტემბერი, 2018

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

აუთდორ.ჯი ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 19 ივლისს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიზნებისა და გეგმების შესახებ მმართველობითი ანგარიშგებაში არაა ინფორმაცია წარმოდგენილი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.


პირობითი მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- “პირობითი მოსაზრების საფუძველში” აღწერილი საკითხის გავლენის გარდა, მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას .

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით



28 სექტემბერი, 2018

სარჩევი

მმართველობის ანგარიში

განვითარების გეგმები	4
ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ	5
კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	5
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	5
სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა	5
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	6
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	6

საქმიანობის ძირითადი მიმოხილვა

შპს „აუთდორ.ჯი“ წარმოადგენს აუთდორ.ჯი ჯგუფის ძირითად სარეკლამო კომპანიას, რომელიც წამყვანი კომპანიაა საქართველოს გარე-ბილბორდების ბაზარზე.

აუთდორ.ჯი ჯგუფის ძირითად შემადგენელ კომპანიას წარმოადგენს შპს „აუთდორ.ჯი“. გამომდინარე იქიდან, რომ შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული საოპერაციო საქმიანობა არ არის მატერიალური აუთდორ ჯგუფის მასტაბით, წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგება თანაბრად რელევანტურია როგორც ინდივიდუალურად შპს აუთდორ.ჯისთვის, ასევე აუთდორ ჯგუფისთვის და შესაბამისად არ წარდგება ცალ-ცალკე.

აუთდორ.ჯის შვილობილი კომპანიები, ანგარიშის მომზადების მომენტში არიან:

- შპს როტინომი - 50%
- შპს აუთდორ მონიტორს + - 50%
- შპს აუთდორ ტრანსპორტი - 100%
- შპს აუთდორ პრინტ მედია - 100%
- შპს აუთდორ დიჯიტალი - 70%
- შპს სკა გრუპი - 54%
- შპს ინდორ.ჯი - 50%

აუთდორ.ჯი ჯგუფის თავის სარეკლამო პორტფელში აქვს ბილბორდებზე და გარე მონიტორებზე რეკლამის განთავსების უფლება.

კომპანიას ბეჭდვით მომსახურებას და ტექნიკური სამუშაოებს უსრულებს გარე კომპანია.

გარე-რეკლამის ბაზარი საქართველოს ქალაქებში სხვადასხვა წესებით არის რეგულირებული. მაგალითისთვის თბილისში, ქალაქის მერიას სარეკლამო ნებართვების ლიცენზია აუქციონის წესით გაცემული აქვს 2 კომპანიაზე, მათ შორის ერთერთია შპს აუთდორ.ჯი, რაც ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიის, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე რეკლამის ნებართვის გაცემის ლიცენზია შპს აუთდორ.ჯის აქვს მოპოვებული. აღნიშნული აუქციონი ჩატარდა 2009 წელს და სრულდება 2021 წელს.

საქართველოში გარე-რეკლამის ინდუსტრია რამდენიმე მსხვილი მოთამაშით არის წარმოდგენილი, ესენია: აუთდორ.ჯი, სმოდი, ალმა, აჯათი, დბს-ი, ბიგბორდი, ინდორ ედვერთაიზინგი და ა.შ.

განვითარების გეგმები

აუთდორ.ჯი ჯგუფის განვითარების გეგმები მოიცავს მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ბილბორდების და მონიტორების ქსელის გაფართოებას.

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფს მთელი საქართველოს მასშტაბით განთავსებული აქვს ასეულობით ბილბორდი, რისი მოვლისა და შენახვის სამუშაოებისთვის დაქირავებული ჰყავს გარე-კომპანია ვინც ახორციელებს ამ საქმიანობას. შესაბამისად შპს აუთდორ.ჯი ჯგუფს საქართველოს ტერიტორიაზე ფილიალები არ გააჩნია.

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

აუთდორ.ჯი ჯგუფი აქტიურად ადევნებს თვალყურს რეკლამის თემატიკას და ყოველთვის ცდილობს მაქსიმალურად გაეცნოს მსოფლიო მასშტაბით ბილბორდების ინდუსტრიის კომპანიების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რათა შემდგომ შეძლოს მათი საქართველოში დანერგვა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მიუხედავად იმისა, რომ აუთდორ.ჯი ჯგუფს 2017 წელს ახალი სარეკლამო აქტივები არ შეუქმნია, ჯგუფმა მაინც შეძლო შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდისთვის მიეღწია ეს მაჩვენებელი 7%-ს გაუტოლდა, რაც თანხაში 11.1 მლნ ლარიდან 11.9 მლნ ლარამდე ზრდას გულისხმობს.

2017 წლის შედეგებში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ შემოსავლის 7%-იანი ზრდის ფონზე აუთდორ.ჯი ჯგუფმა შეძლო და შეამცირა პირდაპირი ხარჯები თითქმის 2%-ით, რამაც საფუძველი დაუდო კონტრიბუციული მოგების მარჟის მკვეთრ გაუმჯობესებას, კერძოდ 48%-იანი მარჟა აიწია და თითქმის 54%-ს მიაღწია.

შემცირებულია სხვა ფიქსირებული ხარჯებიც, თუმცა მიუხედავად ამისა ჯგუფს მაინც შეუძლია საოპერაციო მოგება, რაც განპირობებულია აქტივების გადაფასების შედეგად წარმოქმნილი დანახარჯით. მოგება-ზარალში ამ მუხლის არსებობამ განაპირობა საოპერაციო მოგების შემცირება 2.4 მლნ ლარიდან 1.0 მლნ ლარამდე.

2017 წელს მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდების მაჩვენებელი (current ratio) 2016 წელთან შედარებით მკვეთრად გაუარესდა და 1.23-დან 0.53-მდე შემცირდა, რაც მეტწილად გამოწვეულია მოკლევადიანი სესხების აღებით.

საოპერაციო მოგების შეფარდება მთლიან აქტივებთან (ROA) დაცემულია 17%-დან 7%-მდე, რაც ისევ საოპერაციო მოგების შემცირების მიზეზით აიხსნება, რომელიც თავისმხრივ გრძელვადიანი აქტივების გადაფასების შედეგად არის გამოწვეული.

საოპერაციო მოგების მარჟა (Operating profit margin) შემცირებულია და 22%-დან 8%-მდე არის დავარდნილი. კომპანიას 2017 წლის განმავლობაში დაუფიქსირდა ზარალი, 1.4 მლნ ლარის ოდენობით.

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

აუთდორ.ჯი ჯგუფისთვის არ არის რელევანტური.

აუთდორ.ჯი ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება 2017 წელი
საქმიანობის მიმოხილვა

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ჯგუფის ფინანსური ზარალი მეტწილად მაინც აიხსნება მაღალი ფინანსური ხარჯით, რომელიც თავისმხრივ გულისხმობს დარიცხულ პროცენტს, ლიცენზიის ფინანსურ ხარჯს და ასევე ლიზინგის ხარჯებს.

აუთდორ.ჯი სარგებლობდა სალიზინგო სერვისით გარე-მონიტორების შესაძენად.

ჯგუფის ძირითად ბიზნეს აქტივს წარმოადგენს: ა) სარეკლამო კონსტრუქციები და მათი განთავსების ადგილების მესაკუთრეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ბ) მერიის მიერ ორგანიზებული აუქციონში გამარჯვების შედეგად მოპოვებული ლიცენზია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ნებართვების გაცემის კუთხით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

აუთდორ.ჯი ჯგუფისთვის მნიშვნელოვან რისკებს წარმოადგენს საბაზრო, საკრედიტო, სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო რისკი. თითოეული მათგანი დეტალურად არის განხილული აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მათვის ნაწილში.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ზ. პერტაია

აუთდორ.ჯი ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება 2017 წელი
საქმიანობის მიმოხილვა

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ
ჯგუფის ფინანსური ზარალი მეტწილად მაინც აიხსნება მაღალი ფინანსური ხარჯით,
რომელიც თავისმხრივ გულისხმობს დარიცხულ პროცენტს, ლიცენზიის ფინანსურ ხარჯს და
ასევე ლიზინგის ხარჯებს.

აუთდორ.ჯი სარგებლობდა სალიზინგო სერვისით გარე-მონიტორების შესაძენად.

ჯგუფის ძირითად ბიზნეს აქტივს წარმოადგენს: ა) სარეკლამო კონსტრუქციები და მათი
განთავსების ადგილების მესაკუთრეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ბ) მერიის მიერ
ორგანიზებული აუქციონში გამარჯვების შედეგად მოპოვებული ლიცენზია მტკვრის
მარჯვენა სანაპიროზე ნებართვების გაცემის კუთხით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

აუთდორ.ჯი ჯგუფისთვის მნიშვნელოვან რისკებს წარმოადგენს საბაზრო, საკრედიტო,
სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო რისკი. თითოეული მათგანი დეტალურად
არის განხილული აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური
ინსტრუმენტები - რისკების მათვის ნაწილში.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის
ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 28 სექტემბერს შემდეგი
პირის მიერ:

დირექტორი



ზ. პერტაია